Capatect Leichtgrundputz 170

მსუბუქი ბათქაშის მშრალი ნარევი მინერალურ ბაზაზე, შიდა და გარე სამუშაოებისათვის.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	მსუბუქი ბათქაშის მშრალი ნარევი ზედაპირების გასათანაბრებლად და ფოროვანი და მსუბუქი ბეტონის ზედაპირების მოსამზადებლად შემდეგი სამუშაოებისთვის. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.რეკომენდირებულია არქიტექტურული ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოსაყენებლად.
თვისებები	■ რეზისტენტული შრობის ბზარების მიმართ (გაძლიერებული ბოჭკოვანი მინარევებით) ■ მარტივი დამუშავება ■ მაღალი ორთქლდიფუზიურობა (გამტარიანობა) ■ შემცირებული ხარჯი ■ კარგი მდგრადობა ატმოსფერული ზეგავლენის მიმართ ■ არ ითხოვს დამატებით არმირებას ერთგვაროვან ზედაპირებზე
შემადგენლობა	მინერალური შემკვრელების ნარევი (ცემენტი, კირი), მინერალური შემავსებლები, მოდიფიკატორები, ბოჭკოვანი მინარევები.
შეფუთვა	ტომრები 25 კგ.
ფერი	ღია ნაცრისფერი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას, ორიგინალურ შეფუთვაში. შენახვისას მოარიდეთ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას და მაღალ ტენიანობას. შენახვის მინიმალური ვადა გაუხსნელ ორიგინალურ შეფუთვაში - დაახლ. 12 თვე.
ტექნიკური პარამეტრები	■ ორთქლ დიფუზიურობის კოეფიციენტი: არანაკლებ 0,07 მგ/(მ•სთ•პა) ■ ხსნარის ზედაპირთან მოჭიდების სიმტკიცე: დაახლ 0,5 მპა ■ დმშრალი მასალის მოცულობითი სიმკვრივე: დაახლ. 1060 კგ/მ^3 ■ სიმტკიცე კუმშვისას: არანაკლებ 3,5 მპა ■ ყინვამედეგობის მარკა: F150 ■ ხსნარის საშუალო სიმკვრივე: დაახლ. 1295 კგ/მ^3
პროდუქტის კოდი	170

CAPAROL

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ბეტონი, მსუბუქი ბეტონი (გაზსილიკატი, კერამზიტის ბეტონი, ქაფბეტონი, პერლიტ-ბეტონი და ა.შ.), აგური, მსუბუქი ფოროვანი აგური საიზოლაციო თვისებებით, კირ-ქვიშის, კირ-ცემენტის ბათქაშები, აგურის წყობა კირ-ქვიშის დულაბით.
ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მშრალი, მზიდუნარიანი და თავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან.

ზედაპირის მომზადება

ძლიერ შემწოვი ზედაპირები სასურველია წინასწარ დაიგრუნტოს Sylitol-კონცენტრანტი 111-ით (გაზავებული წყალთან პროპორციით 2 :1).
ნორმალურად შემწოვ ზედაპირებზე (მაგ. აგურის წყობა, ბეტონის რიგელები, კოჭები), ადჰეზიის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია "შეშხეფების" მეთოდით საკონტაქტო ფენის დატანა ბათქაშით (Capatect Leichtgrundputz 170) ან წებოვანი ნარევით (Capatect Klebe- und Spachtelmasse 190 და Capatect Klebemasse 190S), რომლების უნდა დაიზოლოს ჰორიზონტალური მიმართულებით, კბილანებიანი ქაფჩით (კბილანების ზომა 4*4 მმ).

მასალის მომზადება

მასალის დატანა შესაძლებელია ხელით ან მექანიკური მეთოდით. ხელით დატანისას 25 კგ-იანი შეფუთვა თანდათან გახსენით 5,5 - 6,5 ლიტრ სუფთა, ცივ წყალში და მოურიეთ ნელა ბრუნვადი მომრევის გამოყენებით (დაახლ. 400 ბრუნი წუთში) თანაბარი მასის მიღებამდე. შემდგომ 5-10 წუთი დააყენეთ და კიდევ ერთხელ მოურიეთ. კონსისტენციის რეგულირება შესაძლებელია მცირე რაოდენობით წყლით. არავითარ შემთხვევაში არ შეაზავოთ უკვე გამხმარი მასალა წყლით. მექანიკური მეთოდით დატანისას მასალის მოსამზადებლად შესაძლოა გამოყენებული იქნას ნებისმიერი შემრევი მოწყობილობა უწყვეტი მოქმედებით, ასევე ცემენტის შემრევი ტუმბოები და ბათქაშის მანქანები. წყლის მიოწოდება დამოკიდებულია აგრეგატის სახეობაზე და დგინდება შესაბამისი მოწყობილობის ინსტრუქციაში არსებული რეკომენდაციით.

დატანის მეთოდი

ბათქაშის ხსნარი დაიტანეთ საგრუნტი ან საკონტაქტო ფენის გაშრობის შემდეგ.
ერთიან, სწორ და ერთგვაროვან ზედაპირზე ბათქაშის ხსნარის დატანა ხდება არმირების გარეშე, 10-20 მმ სისიქის ერთ ფენად. ერთი ფენის მაქსიმალური სისქე - 15-20 მმ, მინიმალური - 5 მმ.
შერეულ ან არაერთგვაროვან ზედაპირებზე (მაგ. აგურის წყობა) ან 20 მმ მეტი სისქის მქონე ბათქაშის მისაღებად მასალის დატანა უნდა მოხდეს 2 ეტაპად:
პირველი ეტაპი: (სარემონტო) საჭიროა უსწორმასწორო ადგილების გასასწორებლად და წყობის ნაკერების ამოსავსებად ან საკონტაქტო ფენის შესაქმნელად. პატარა ზომის ამონატეხი ადგილები შესაძლოა ამოივსოს საბათქაშე ხსნარის 40 მმ სისქის მქონე ფენით.
მეორე ეტაპი: სრულდება პირველი ფენის გაშრობის შემდეგ (1-3 დღე-ღამე, გამომდინარე ფენის სისქის და შრობის პირობებიდან). პირველი ფენა სველ მდგომარეობაში უნდა დაიზოლოს ჰორიზონტალური მიმართულებით, კბილანებიანი ქაფჩით (კბილანების ზომა 4*4 მმ). მეორე და ყოველი მომდევნო ფენის სისქე უნდა შეადგენდეს 5-10 მმ-ს. ყოველი მომდევნო ფენა დაიტანეთ წინა ფენის გაშრობის შემდეგ.
საბოლოო ფენის დატანის შემდეგ ზედაპირი გაასწორეთ ფართე ქაფჩით.
სამუშაოს ოპტიმიზაციისათვის გამოიყენეთ მოსანიშნი ლარტყები და სპეციალური კუთხის პროფილები.
სწორი, შეღებისთვის ვარგისი ზედაპირის მისაღებად , საბოლოო ფენა შეშრობის შემდეგ (დაახლ 4-16 საათი, შრობის პირობებიდან გამომდინარე) დაასველეთ წყლით და გახეხეთ ქაფპოლისტიროლის ან ბუნებრივი სახეხით ან უხეში ღრუბლით.
არაერთგვაროვანი ზედაპირების გადაბმის ადგილები (მაგ. გაზსილიკატი და ბეტონი) ან 20 მმ-ზე მეტი სისქის მქონე ბათქაში ფენა უნდა იქნას არმირებული მინაბადის მეშვეობით. ამისათვის ბათქაშის ფენაში უნდა ჩაიძიროს მინაბადე Capatect Gewebe 650, კიდეების 10 სანტიმეტრით გადაფარვით და დაიფაროს ბათქაშის 3-5 მმ სისქის ფენით, "სველით-სველზე" მეთოდით.

გამოყენების დრო

დაახლ. 2 საათი, ამინდის პირობებიდან გამომდინარე. არავითარ შემთხვევაში არ შეაზავოთ უკვე გამხმარი მასალა წყლით.

ხარჯი

დაახლ 1,3 კგ 1$მ^2$-ზე, 1 მმ სისქის ფენაზე.
ზუსტი ხარჯი დგინდება ობიექტზე სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა პროცესში:
მუშაობის და გაშრობის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5 °C დაბალი. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის და ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს. გაშრობის ფაზის განმავლობაში წვიმისაგან დასაცავად ზედაპირი აუცილებელია დაიფაროს ტენტით.
შიდა სამუშაოებისას: დატანის და შრობის პროცესში მოერიდეთ ორპირ ქარს, იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე.
სწრაფად მშრობი ზედაპირები პერიოდულად დაასველეთ.

შრობის დრო

ჰაერის +20° ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, ზედაპირი შემდგომი მშრალია 24 საათში. ბოლომდე მშრალი და მზიდუნარიანი ხდება 5 დღე-ღამეში. უფრო დაბალი ტემპერატურის და მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების დასუფთავება	გამოყენების შემდგომ ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.

უსაფრთხოების ზომები

უსაფრთხო გამოყენების წესები	შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. მოერიდეთ კანზე ან თვალებში მოხვედრას. მუშაობისას იხმარეთ დამცავი ხელთათმანები და დამცავი სათვალე/ნიღაბი. თვალებში ან კანზე მოხვედრისას სასწრაფოდ მოიბანეთ წყლით და მიმართეთ ექიმს. გადაყლაპვის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს და წარადგინეთ შეფუთვა ან ეტიკეტი.
მონაცემები ტოქსიკურობის შესახებ	იწვევს კანის და თვალების გაღიზიანებას.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს სამშენებლო ნაგავთან ერთად.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ Caparol-ის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია Caparol-ი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.